საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20,000 მან. ნონპარელი
4 „ 10,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 500,000 მან.
4 „ 300,000 „

№ 389 კვირა, იანვრის 7 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იანვრის 9-ს ტფილისის ახალი საბჭოს არჩევნები.

## ტფილისის საბჭო მშრომელთა ბატონობის ერთი მთავარი სიმაგრეთაგანია საქართველოში.

ამხ. მუშებო და წითელ-არმიელებო! გაამაგრეთ ტფილისის საბჭო თქვენი ენერგიული მონაწილეობით და ხმა მიეცით მშრომელთა ბატონობის მოსარჩლე პარტიების კანდიდატებს!

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ელირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში.

ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

მწუხარებაში მყოფნი მშობლები კონსტანტინე ეგნატეს ძე, ვასასი მიხეილის ასული, და თამარა კონსტანტინეს ასული, ბებია გურქანი, ძმა ალექსანდრე ანთაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს უდროვოთ გარდაცვლილი მათი საყვარელი

**მიშიკო კონსტანტინეს ძე ბაქრაძისი**

გარდაცვლილიდან ექვსი თვის თავზედ. 8 იანვარს, ვერის (ნიკოლოზის) ეკლესიაზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დღის 1 საათზე.

№ 376. 1—1

რუსთაველის თეატრი

ორშაბათს 8 იანვარს

უზვირგვინო მეფენი

1—1

ქალ. თბილისის აღმასკომი აცხადებს

კონკურსს

ამხ. კამოს ძეგლის

პროექტის შესახებ

პროექტი უნდა იქნეს წარმოდგენილი არა უგვიანეს 20 იანვრისა აღმასკომის პრეზიდიუმში.

პრემია: 1-ლი—30 მილ. მან. მე-2 25 მილ. მან. მე-3 20 მილ. მანეთი.

აღმასკომის თავმჯდომარე ლ. დუმბაძე.

3—2 მდივანი გრ. ხუნდაძე.

# იესო ქრისტე

დღეს ქრისტეს შობაა. 19 საუკუნის განმავლობაში პატივისცემით და სიყვარულით იგონებს ამ დღეს ტანჯული კაცობრიობა. რით დაიმსახურა იესო ნაზარეველმა ეს ხსოვნა და პატივისცემა? რასაკვირველია არა იმით, რომ ხალხის უმეცრებამ და სიბნელემ ის ღმერთად მონათლა და ზეცაში გადაასახლა.

პირიქით, ქრისტეს გაღმერთების მიზეზი მისი ზეკაცური პიროვნება და შეუპოვარი, მოურიდებელი რევოლიუციონური ბუნებაა. წარმოიდგინეთ ჭაბუკი ქრისტე იმ საშინელ შავბნელ დროს, რომის დიქტატურისა და ფარისეველ-მწიგნობართა ბატონობის ხანაში. და თქვენ დარწმუნდებით, რომ ის საკვირველი რევოლიუციონერი ყოფილა. არ შეიძლება ამისი არ დანახვა და არ დაფასება.

მე მომაქვს ქვეყნად არა მშვიდობა, არამედ ცეცხლი და მახვილიო!—ამბობდა ქრისტე. აღსდგება ძმა-ძმაზედ, მამა შვილზედ და ნათესავი ნათესავზედაო, აფრთხილებდა ხალხს, რევოლიუციის მოძღვარი. ღარიბ-ღატაკთა წრიდან გამოსული, დურგალი იოსების შვილი, თუ ახლო ნათესავი, ის მთელ მის სიცოცხლეში და მოღვაწეობაში აშკარად ატარებს კლასობრივ დაღს.

„მოდით ჩემთან მაშვრალნო და ტვირთ-მძიმენოო!“ აი, ვის მოუწოდებდა ქრისტე და ვის ემსახურებოდა. პირიქით მდიდრების და ძლიერების შეურიგებელი მტერი იყო. მდიდარი ისე ვერ შევა სასუფეველში, როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყუნწშიო,—აცხადებს ქრისტე. ასეთი კატეგორიული იყო მისი აზრი მდიდრებზედ, რომელთა შორის მას არც ერთი მეგობარი არ ჰყოლია. ქრისტეს მეგობრები და მიმდევრები მხოლოდ ღარიბ-ღატაკთა შორის თუ მოინახებოდა. ის პრინციპიალურად უარყოფდა კერძო ქონებას და მოითხოვდა სრულ თანასწორობას. აშკარაა ქრისტიანიზმის კომუნისტური ბუნება, ამით ხიბლავდა ის მშრომელ მასებს და ეხლაც ღირსია პატივისცემისა.

ქრისტეს ბრალი არაა, თუ ის დაამახინჯეს და დღეს ქრისტეს სახელით ყოველგვარ სისაძაგლეს ქადაგებენ. ქრისტეს ბრალი არაა, თუ მისი მოძღვრებას ამოართვეს რევოლიუციონური, შეურიგებელი სული, მოაშინაურეს და აქციეს მორჩილების რელიგიად. ასეთი უკუღმართი ბედი სხვებსაც სწვევია. უნდა გავსწმინდოთ ქრისტიანიზმი და ავილოთ მისგან ის, რაც ასე ძვირფასია ყოველი კულტურული ადამიანისთვის და ყველაზედ უწინ მშრომელი ხალხისათვის. ესაა იდეა კომუნიზმისა, უარყოფა კერძო საკუთრებისა, უარყოფა რუტინის დოგმის და ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ასეთი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ქრისტესადმი.

ჩვენი დროის ფარისეველნი და მწიგნობარნი კი დღეს გამოვლენ ოქრო-ვერცხლში, ძვირფას სამკაულებში და სასაცილო ზიზილ-პიპილებში გამოწყობილნი და უსირცხვილოდ დაიწყებენ ქრისტეს მაღალ მოძღვრებაზედ ლაპარაკს. ასე მოიქცევა დღეს მთელ დედამიწის ზურგზედ „ქრისტეს მმოსავი“ სამღვდელოება, რომელმაც დიდი ხანია ქრისტე გაჰყიდა, უღალატა მას და ყოველი მისი სიტყვა, წარმოთქმული ქრისტეს სახელით, არის გმობა და შეურაცყოფა ნამდვილი ქრისტესი და მის მოძღვრების.

# პარიზის თათბირი

### ყველაფერი თავიდან.

**ბორდო.** 6 იანვარი. „პტი პარიზენი“ ამბობს, რომ რადგან მოკავშირეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, საჭიროა ყველაფრის თავიდან დაწყება, თუ საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის დახმარებით არ გადასწყვეტს მიმართოს სამხედრო ზომებს და ეს შესაძლებელია არც მოხდეს.

### ანტანტის დაშლა.

**ბორდო.** 6 იანვარი. „მატენ“-მა კონფერენციის „მეგობრულ ჩაშლის“ მეორე დღეს გამოაქვეყნა ერთი გამოჩენილი პოლიტიკოსის აზრი, რომელმაც განაცხადა, რომ ანტანტა ამ ქნმად იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, როგორც ომის წინ ე. ი. ორივე ხალხს ინგლისს და საფრანგეთს ხელები გახსნილი აქვთ სამოქმედოთ.

### საკუთარი ძალებით.

**ბორდო.** 6 იანვარი. „ფიგარო“ ამბობს, რომ იტალიის და ბელგიის მხარის დაჭერით, საფრანგეთი, ინგლისის დაუხმარებლად, შესძლებს თავისი პირობების და მოთხოვნილების ცხოვრებაში გატარებას მორატორიუმის შესახებ, რომელსაც ითხოვდა გერმანია. საფრანგეთი ძლიერ სწუხს რომ ამ საკითხში ინგლისი მასთან არ არის.

### მუსოლინი განმარტებას იძლევა.

**ბორდო.** 6 იანვარი. მინისტრთა საბჭოში მუსოლინმა გამოაქვეყნა მიზეზი, რომლის გამო იტალია ინგლისის გეგმის წინააღმდეგ წავიდა, ამ გეგმის განხორციელება მოუსპობდა იტალიას ნახშირს და იმ ვალების მიღების გარანტიას, რომელიც იტალიას ერგება მის ყოფილ მოწინააღმდეგეებისაგან. ამის გარდა იტალიის ბანკებმა იტალიას უნდა გადაუხადონ 500 მილიონი ოქროს ლირა.

# უცხოეთი

### მცირე ანტანტის პროტესტი

**ბორდო.** 5 იან. ჩეხო-სლოვაკიიდან იუწყებიან, რომ მცირე ანტანტის სამმა სახელმწიფომ ელჩთა კონფერენციას მოსთხოვეს უნგრეთის ნამდვილი განიარაღება. პარიზში გაგზავნილი ნოტა შეიცავს პროტესტს უნგრეთის მიერ მიღებულ „გამაგრებულ დაცვის“ კანონის და სხვა სამხედრო ზომების წინააღმდეგ.

### რუსეთის ლტოლვილები ბულგარეთში.

**ბორდო.** 5 იან. ბულგარეთის მთავრობამ წინადადება მისცა ოფიციალურ კომისიას შეადგინოს რუსეთის ყველა იმ ლტოლვილთა სია, რომელნიც იღებდნენ მონაწილეობას ბულგარეთის დამოუკიდებლობისათვის 1877—1988 წლ. ომში და რომელნიც შემდეგ დასახლდნენ ბულგარეთში. ეს ლტოლვილები ბულგარეთის მთავრობისაგან მიიღებენ პენსიას.

### პოლონეთი

**მანჩესტერი.** 5 იან. ვარშავიდან იუწყებიან ფინანსთა მინისტრის ისტრაქემსკის გადადგომის შესახებ.

### ცეცხლი გამოფენაზე

**მანჩესტერი.** 5 იან. იუწყებიან, რომ ცეცხლმა სრულებით გაანადგურა სამრეწველო გამოფენა კალკუტაში

### ენვერ-ფაშას სიკვდილის გამო

**მანჩესტერი.** 5 იანვ. ენვერ-ფაშას მეუღლე იუწყება, რომ ცნობა მისი ქმრის სიკვდილის შესახებ შეიძლება მართალი იყოს, ვინაიდან მისი ძებნის ცდამ უშედეგოდ ჩაიარა.

### სესხი გერმანიას

**მანჩესტერი.** 5 იანვ. „ტაიმსი“-ს ცნობით ინგლისის რკ. გზის კავშირმა დაადგინა გერმანიის რკ. გზის კავშირს რომელიც მძიმე ფინანსიურ კრიზისს განიცდის, მისცეს სესხად 2.000 გ. სტ.

### პარიზის თათბირის გამო.

**მანჩესტერი.** 5 იანვარი. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ მთავრობას არას დროს ისე ფართედ არ გამოუქვეყნებიან თავიანთი პროექტები, როგორც ეს მოხდა პარიზის თათბირზე.

„ფორვერტსი“ გამოსთქვამს მწუხარებას, რომ საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტის შესახებ მსოფლიოს იმედი ისევე გაქარწყლდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის ერთსულოვან გამოსვლას შეუძლია აიძულოს საფრანგეთი აწარმოოს უფრო სალი პოლიტიკა.

### გერმანია და ანტანტა.

**ნაუენი.** 5 იანვარი. ანგორაში მიღებულია გერმანიის ქარხნების მიერ აშენებული უკანასკნელი კონსტრუქციის 80 ორთქლმავალი.

### კუნოს სიტყვა.

**მანჩესტერი.** 5 იანვარი. საზავო ხელშეკრულების დადების გამო წარმოთქმულ სიტყვაში კუნომ სხვათა შორის განაცხადა: „არ აქვს მნიშვნელობა გერმანიის წინადადების დეტალებს, გერმანიის მთავრობა არ აძლევს მნიშვნელობას ხელშეკრულების ხანგრძლივობას მნიშვნელოვანია ის, რომ გერმანიის მთავრობა ცდილობს შექმნას მშვიდობიანობის ატმოსფერა, რაც აქამდე აკლდა საკონტრიბუციო საკითხების განხილვას, რაც შეეხება რევანშის პოლიტიკას, რაზედაც ამდენს ლაპარაკობს პუანკარე, გერმანიას არ აქვს... (გამოტოვებულია), თუ კი თვითონ საფრანგეთი არ შექმნის მას.

### გაფიცვები გერმანიაში.

**ბორდო.** 5 იანვარი. გერმანიაში გაიფიცნენ სურსათ-სანოვაგის მოვაჭრენი.

### იტალიის მინისტრთა საბჭოში.

**რომი.** 5 იანვარი. 5 იანვარს რომში დანიშნულია იტალიის მინისტრთა საბჭოს სხდომა, სადაც განხილული იქნება მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმების.

### პოლონეთის პოლიტიკა

**ბორდო** 5 იანვარი. პოლონეთის ზომიერ სახალხო პარტიის ლიდერმა ვიტოშმა გაზეთ „პიასტში“ ზოგადად მოხაზა თავის პარტიის პროგრამა. საგარეო პოლიტიკაში ის მოითხოვს მჭიდრო კავშირს პოლონეთის დასავლეთის მოკავშირეებთან განსაკუთრებით საფრანგეთთან. საშინაო პოლიტიკის მიმართ სახალხო პარტიას აუცილებლად მიაჩნია

დასახურდავებელ კურსის სტაბილიზაცია და აღმასრულებელ ხელისუფლების გაძლიერება.

**რურის ოლქი**

**ბორდო.** 5 იანვარი, გუშინ ფოში მიწვეული იყო სათათბიროდ პრეზიდენტ მილიტანთან. ფიქრობენ, რომ საფრანგეთის განზრახვა აქვს ოკუპაცია უყოს რურის ოლქს. თუ პარიზის თათბირი უშედეგოდ დამთავრდა.

**ანგორაში**

**ბორდო** 5 იანვარი. სტამბოლის ცნობით, ანგორის ეროვნულ კრების სხდომაზე რაუფ-ბეიმ მოიწონა ისმეტ-ფაშას მოქმედება ლოზანას კონფერენციაზე და აღნიშნა, რომ ოსმალეთი არ მიიღებს არც ერთს წინადადებას, რომელიც შელახავს მის დამოუკიდებლობას და მტკიცედ დაიცავს თავის უფლებებს.

**მოკავშირეთა პროექტები გერმანიაში**

**ჰანოვერი** 5 იანვარი. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ინგლისის საფრანგეთის და იტალიის საკონტრიბუციო პროექტების განხილვის დროს გამოირკვა, რომ ინგლისის პროექტი მისაღებია გერმანიისათვის, როგორც ბაზა საკონტრიბუციო საკითხის გადასაწყვეტად, ვინაიდან ინგლისი ეხება საკითხს წმინდა ეკონომიური თვალსაზრისით.

**გაშიშვლებული სიმართლე რეპარაციის შესახებ**

**მილანი.** გაზ. „კორიერა დელა-სერას" ცნობით, ჰამბურგში ეკონომისტების საერთაშორისო კონგრესის სხდომაზე ცნობილმა ინგლისის ეკონომისტმა კეინსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გმობდა საფრანგეთის პოლიტიკას. კეინსი არ ფიქრობს, რომ საფრანგეთს შეეძლოს ახალი ომის შესახებ თავის მუქარის განხორციელება. სარეპარაციო საკითხში ფრანგები უკვე არ ენდობიან თავის მთავრობას. იმათმა იციან, რომ ყოველი ძალდატანებითი ზომა მორალურად გათიშავს საფრანგეთს და საფინანსო საკითხებს გადასწყვეტს არა მის სასარგებლოდ. მაგრამ, ამბობს კეინსი, ფინანსიურ მოსაზრებებისათვის სრულებით კერძო მიზეზებით საფრანგეთი ოცნებობს გერმანიის ქაოტიურ მდგომარეობის ექსპლოატაციას პოლიტიკურ მიზნებისათვის. პუანკარეს შეუძლია მყვირალა სიტყვების წარმოთქმა და უმიზნო შეურაცყოფის პოლიტიკის წარმოება, მაგრამ ვერ შესძლებს გერმანიის წინაამდეგ სერიოზულ ნაბიჯების გადადგმას. სინამდვილეში კი მისი სიტყვები უარყოფაა სერიოზულ მოქმედებას. რაც უფრო მაღლა ასწევს ტონს, მით უფრო ნაკლებად იმოქმედებს. კეინსი ურჩევს გერმანიას შეინახოს სიმშვიდე. ყოველშემთხვევაში მას შეუძლია დაარწმუნოს გერმანია, რომ ინგლისელების, იტალიელების და ამერიკელების დიდი უმრავლესობა არ დაუშვებდა, რომ გერმანიის მიმართ ჩადენილ იქნას რაიმე ძალადობა. ინგლისის ეკონომისტი ურჩევს საფრანგეთს მისცეს გერმანიას 1 მილიარდი ოქრო მარკა სესხად მარკის სტაბილიზაციისათვის.

რაც შეეხება გერმანიის საერთო სარეპარაციო ვალს, მისი განსაზღვრა შეიძლება 40 მილიარდი ოქრო მარკად, რაც გადახდილ უნდა იქნას 1930 წ. ყოველი თანხა, გერმანიას მიერ ამ ვადამდე გადასახადების ანგარიშში შეტანილი უნდა აძლევდეს გერმანიის 6 პროც. 1924 წ. წლიური გადასახადი არ უნდა იყოს 1 მილიარდ მარკაზე ნაკლები. ანტანტამ უნდა შეამციროს გერმანიისაგან მისაღებ ნახშირის რაოდენობა და აგრეთვე უნდა დაშალოს სარეპარაციო კომისია და მოახდინოს რეინის მარცხენა ნაპირის ევაკუაცია.

# ხელი შეუწყვეთ გაზეთის გავრცელებას!

**გაზეთს შეაქვს ყველგან შეგნება და სინათლე. გაზეთი ყველაზედ უფრო იაფი და სწრაფი საშუალებაა ცოდნისა და შეგნების გასავრცელებლად.**

**გაზეთი ებრძვის უმეცრებას, ცრუმორწმუნოებას, ხალხის სიბნელეს.**

**გაზეთს მოაქვს ამბავი დედამიწის ყველა კუთხიდან.**

**ვინც გაზეთს არ კითხულობს, ის, ჩამორჩენილია, არაფერი იცის რა ხდება ჩვენში, ან სხვაგან და ჭორებით იკვებება.**

**გაზეთს უნდა კითხულობდეს ყველა, ვინც კითხვა იცის.**

**გაზეთს უნდა აწვდიდეს სწორ ცნობებს ჩვენი ცხოვრებიდან, ვისაც ეს შეუძლია.**

**გაზეთი ,,ტრიბუნა'' ემსახურება ქართველ მშრომელ ხალხს, მუშებს და გლეხებს, იცავს მათ ინტერესებს, იბრძვის მათ საკეთილდღეოდ, შეაქვს მათში სწორი და სალი შეგნება.**

**მაშ გამოიწერეთ გაზეთი ,,ტრიბუნა'' და ხელი შეუწყვეთ მიგავრცელებას.**

— **ამხანაგობა „ხორც-პროდუქტის" გამგეობის შეცვლა.** „ხორც-პროდუქტის" გამგეობის შემადგენლობაში ნაცვლად ორი წევრისა შედის სამი პირი შემდეგის წარმომადგენლობით: 1. აღმასკომისა და სახელმწიფო საექსპორტო საიმპორტო სავაჭრო კანტორის (ზავგოსტორგის) თითო წარმომადგენელი. გამგეობის მესამე წევრი დაინიშნება აღმასკომისა და „ზავგოსტორგის" ურთიერთი შორის შეთანხმებით, რომელიც ამავე დროს შეასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას, დირექტორს ტეხნიკური ხელმძღვანელობისათვის მოიწვევს გამგეობა.

— **ქალაქის საბჭოს არჩევნები.** ქალაქის საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად აღმასკომის მიერ გადადებულ იქნა საარჩევნო კომისიის განკარგულებაში 50 მილ. მან.

— **ქართული თეატრის არსებობისათვის.** ქართული თეატრის არსებობის 73 წლის თავის აღსანიშნავად, ქალაქის აღმასკომმა გადასდო მსახიობთა კოლექტივისათვის 50 მილ. მან.

## შეცდომის გასწორება

„ტრიბუნის" № 388-ში „მუშათა ცხოვრებაში" დაშვებულია შემდეგი კორექტურული შეცდომა. **დაბეჭდილია:** ჩვენი პარტიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის, მბეჭდავი მუშების ფრაქციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა და სხვა. **უნდა იყოს:** წითელ არმიელების, პროლეტ. მწერ. ასოციაციის და მრავალმა სხვამ. **ჩვენი პარტიის, მბეჭდავ მუშების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ახოთ-ამწ. მუშამ დ. მელაშვილმა.**

# პარტიაში

**— კვირას იანვრის 7, დილის 11 საათზედ ,,ტრიბუნის'' რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის და ქალაქის საბჭოს ფრაქციის შეერთებული სხდომა. ყველა წევრები აუცილებლად უნდა დაესწრონ და გამოცხადნენ სწორედ დანიშნულ დროს.**

# ახალი ამბები

**მისალმება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საბჭოების პირველ ყრილობას.** ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოს პლენუმის სხდომამ (ა. წ. 3 იანვ.) მოისმინა რა მოხსენება ამხ. შ. ელიავასი, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პირველი ყრილობის შედეგების შესახებ, ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმმა დაადგინა: „ვესალმებით, რა ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს, ყოველივე ძალ-ღონეს ვიხმართ ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლათ".

— **ტრამვაის ბილეთებზე ფასების მომატება.** 5 ამა იანვრიდან გადიდებული იქნა ტრამვაიზე ფასები შემდეგი რაოდენობით: 1 და 2-რე მარშრუტი—თავისუფლების მოედანი, სადგური ან წინააღმდეგ—25.000 მან. სადგური—კირკის ქუჩამდე 10.000 მ. სადგური ყოფ. ზემელის აფთიაქი 15.000 მ. კირკის ქ. ყოფ. ზემელი აფთიაქი 10.000 მან. თავისუფლების მოედანი—კირკის ქ. 15.000 მან. და დანარჩენ მარშრუტებზე დაწესებულია:

5.000 მან. ნაცვლათ 10.000 მან. 10.000 მან. ნაცვლათ 15.000 მან. 15.000 მან. ნაცვლათ 20.000 მან. გამონაკლისს შეადგენს ნაძალადევის შტო, სადაც რჩება ძველებურათ 5.000 მ.

— **საადგილ-მამულო განყოფილების რეკონსტრუქცია,** კომუნალურ კოლეგიის დადგენილების თანახმად, აღმასკომის პრეზ. მიერ დამტკიცებულია საადგილ-მამულო განყოფილების რეკონსტრუქცია.

# ტფილისის ქალაქის საბჭოს პლენუმი

**3 იანვრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ამხ. ლადო დუმბაძე.

ამხ. შალვა ელიავა აკეთებს მოხსენებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთ 1-ლი ყრილობის შესახებ, რომლის რეზულტატად შექმნილი არის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა მთლიანი ცენტრალური ორგანოთი და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის დაცვით. ამიერ-კავკასიის ფედერაციას აქვს თავისი გერბი და დროშა; მისი სატახტო ქალაქი ტფილისია.

მოხსენების დასასრულს ამხ. ელიავამ აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია არა ჰგავს არსებულ ფედერაციებს და არის ახალი სიტყვა ამ მხრივ; ის სამაგალითოდ გახდება აღმოსავლეთის ხალხების მომავალი ფედერაციისთვის მომავალ ბალკანეთის ფედერაციისთვის.

და ბოლოს მომხსენებელმა აღნუსხა ფედერაციის კონსტიტუციის თეზისები.

მოხსენების შემდეგ ამხ. ელიავამ გამომწურველი პასუხი გასცა ყველა მიმართულ კითხვებს, რის შემდეგაც მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ამხ. შალვა ელიავას მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა 1-ლი ყრილობის შესახებ, ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმი ადგენს: მიესალმოს ყრილობის ყველა დადგენილებებს და [illegible] ღონე იქნეს ხმარებული მათ ცხოვრებაში გასატარებლად".

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხელახალი არჩევნების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. რუბენი, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოს რწმუნების ვადა გავიდა, დაწყებულია ტფილისისა და მისი მაზრის გაერთიანება საბჭოთა ხაზით და უნდა დაწყებულ იქნეს ხელახალი არჩევნები მაზრასა და ქალაქში.

არჩევნების დამთავრება 20 თებერვლისთვის არის განზრახული. შემდეგ ამხ. რუბენი აკვეყნებს საარჩევნო ინსტრუქციას, რომლითაც საარჩევნო მეტრი უდრის ერთს 150-დან და ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წევრთა სიას შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—ივანოვ-კავკასსკი და წევრები—ამხ. ყურულაშვილი (ს. პ. ს. კ.-დან), ამხ. რუბენი (ტ. კ.), ამხ. ბურჯანაძე (ტფილისის აღმასკომიდან), ამხ. კოჩერინი და მარკაროვი (წითელი არმიიდან), ამხ. ჯანელიძე (მაზრიდან), ამხ. ადამიანი (ახალგ. კომკავშირიდან) და ამხ. ამაღლობელი (მემარც. სოც.-ფედერალისტებიდან).

კომისიის შემადგენლობა ერთხმად იქნა მიღებული და ზემო-ავჭალის ჰიდროელექტრული სადგურის საქმეების გამო გერმანიაში გამგზავრების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნიკო კიკნაძე.

ს. მ. უ. ს. გადასწყვიტა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი გერმანიაში ჩათახის ქარხნისათვის მანქანების შესასყიდად; ტფილისის ქალაქის აღმასკომმა გადასწყვიტა ესარგებლა ამ გამგზავრებით და გაგზავნა მომხსენებელი ს. მ. უ. ს. ინჟინერთან ერთად გერმანიაში, სადაც ისინი გაემგზავრნენ ივნისში. ბერლინში ჩასვლისას, მომხსენებელმა გაუგზავნა 12 გერმანულ ფირმას შეკითხვები სადგურის აგებაში მონაწილეობის სურვილის შესახებ. ამასთან ერთად მომხსენებლისა და ინჟ. დომანტოვიჩის მიერ დეტალურად იქნეს დათვალიერებული ელექტრონული სადგურები ბერლინში და 12 მსხვილი ელექტრონული სადგური გერმანიის სხვა ქალაქებში და აგრეთვე 4 ქარხანა, რომელთაც უნდა გააკეთონ ტურბინები.

ყველა გერმანული ქარხნები ავსილია შენაკვეთებით იმდენად, რომ მათი შესრულებისათვის საჭიროა რამოდენიმე წელი. დათვალიერებულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქარხნებისა და მათ რიცხვში ბერლინის ქარხანა სიმენსისა, რომელიც წარმოადგენს მთელ მუშათა ქალაქს 60.000 მუშით.

ზემო-ავჭალის სადგურის პროექტის განსახილველად მოწვეული იქნენ მსხვილი სპეციალისტი—ჰიდრავლიკები—ერთი ბერლინის პროფესორი და მეორე

# მოკლე მიმოხილვა

**ქალაქის აღმასკომის მუშაობის 1922 წ. და პერსპექტივები 1923 წლისთვის.**

იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის საშინელი დაქვეითება და დაშლა არა მარტო ჩვენში, არამედ ეკონომიურად ჩვენზე გაცილებით ძლიერ ქვეყნებშიაც კი.

ამიტომ სამეურნეო ფრონტზე მცირეოდენი გამარჯვებაც კი დიდ წარმატებათ უნდა იქმნას აღიარებული და საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ტფილისმა დაამთავრა საკალენდარო წელიწადი დიდი წარმატებით და მიღწევით.

1922 წლის განმავლობაში სამეურნეო ეკონომიურ ცხოვრების ყველა დარგებში გაკეთებულია ყველაფერი, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო, არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში.

ქალაქის ცხოვრებაში ეს წელიწადი უნდა ჩაითვალოს ქალაქის მეურნეობის ყველა დარგებში ძლიერი შემოქმედებითი და საამშენებლო მუშაობის წელიწადათ.

**ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური.**

როგორც ყველაზე დიდი მიღწევა უნდა აღვნიშნოთ, რომ შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში ქალაქმა მოასწრო ზემო ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საძირკველის ჩაყრა, იმ სადგურის, რომელიც შეძლებას მოგვცემს მოვახდინოთ ქალაქის ელექტროფიკაცია და რომელიც მისცემს ენერგიას ახლო მდებარე სოფლებსაც.

**ჭაობიანი ადგილების ამოშრობა.**

სხვა ღონისძიებათა შორის, რომელიც ქალაქის აღმასკომმა გაატარა, საჭიროა აღინიშნოს ამოშრობა საბურთალოს ჭაობიან ადგილებისა, სადაც მძვინვარებდა მალიარია და მცხოვრებლებს ანადგურებდა. ამოშრობას შედეგათ მოჰყვა მალიარიისაგან სიკვდილის პროცენტის შემცირება. 21 წელში მალიარიისაგან გარდაიცვალა რამოდენიმე ასეული მცხოვრები, 22 წელში კი იყო სულ 5—6 შემთხვევა.

**ქალაქის სასაკლაოები.**

ქალაქის სასაკლაოებით და იქ არსებულ საყინულით უფრო უკეთესად სარგებლობის მიზნით, დაყენებულია მუშაობა ტრამვაის ხაზის გასაყვანათ სად. ნავთლუღის გვერდით ქალაქის სასაკლაოებამდე.

**აბანოები.**

აღდგენილ იქნა ქალაქის დანგრეული აბანოები და ამის გამო აბანოში მოსიარულეთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება.

მაგალითად იანვარში აბანოთი სარგებლობდა მხოლოდ 44 ათასი კაცი, ხოლო ოქტომბერში 88,000 კაცი, მთელ რიგ აბანოების აღდგენის გამო, გაიზარდა არა მარტო ნაყოფიერება, არამედ შემოსავლიანობაც და ნოემბერში შემოსავალი 6-ჯერ მეტი იყო ვიდრე იანვარში.

**ქუჩების შეკეთება.**

შეკეთებულია ქალაქის ქუჩების უმრავლესობა, გაშენებულია ქალაქის ახალი ბაღები (სკვერები) გაუმჯობესდა წყალის მიწოდება, ტრამვაით მიმოსვლა, გაძლიერდა მუშაობა ქალაქის გასაუმჯობესებლად და სხვა.

**საბინაო საქმე—მუშათა ბინები.**

მუშა-მოსამსახურეთა საბინაო ყოფაცხოვრების გაუმჯობესების მიზნით დაწყებულია მუშაობა მუშათა მოსახლეობის გასაშენებლად და ასეთი მოსახლეობის (ამხ. ლენინის სახელობის) საძირკველის ჩაყრა მოხდა 5 ნოემბერს ვერის რაიონში, მომავალში განზრახულია მთელ რიგ ასეთი მოსახლეობის გაშენება. ეს მოსახლეობა მისცემს საშუალებას მშრომელ მასებს ისარგებლონ არა მარტო სათანადო საბინაო პირობებით, არამედ გამოიყენონ თავისუფალი დრო თავიანთი პატარა ბოსტნებში და ბაღჩებში სამუშაოთ.

**ნიაღვრების წინააღმდეგ ბრძოლა.**

ნიაღვრებით გამოწვეულ ზარალის წინააღმდეგ საჭირო იყო ბრძოლა, რომელიც უნდა გამოხატულიყო ქალაქის მიდამოებში ტყის გაშენებაში. ამ მიზნით უკვე დაიწყო მუშაობა და სწარმოებს მთების მეღლობებზე ჰორიზონტალური არხების გაყვანა. ეს მუშაობა დაიწყო კვირეულის საშუალებით.

**ჯანმრთელობის საქმე.**

უყურადღებოთ არ იქნა დატოვებული აგრეთვე ჯანმრთელობის საქმე. 22 წლის დასაწყისში სანიტარიის მხრით ქალაქი დიდ საშიშროებას წარმოადგენდა. აზიური ხოლერა გაჩნდა მარტში, იმ დროს, როდესაც პარტახტიანი ტიფის მრუდე დაცემის ნაცვლად ერთბაშად მაღლა იწევდა. მაგრამ მთელ რიგ საწინააღმდეგო ზომების მეოხებით ხოლერა თავიდან იქნა აშორებული. გარდა ამისა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ სასწრაფო დახმარების სადგურის საშუალებით ჩქარა დახმარება აღმოუჩინა მცხოვრებთ 886-ჯერ ვენერიულ ავადმყოფობასთან საბრძოლველად დეკემბერში დაარსდა ბიურო ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

**ქალაქის სტატისტიკა.**

რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ფიქრობდნენ ქალაქის მცხოვრებთა აღწერას, მაგრამ ეს დიდი საქმე მუდამ გაუკეთებელი რჩებოდა. ჩვენ არ გვქონდა ცნობები მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, ბინებისა და სახლების შესახებ და სხვა. ეს დიდი საქმე 1922 წელს გაკეთებულ იქნა საქალაქო აღწერის საშუალებით.

საერთოდ ქალაქის აღმასკომის მოღვაწეობა 22 წლის განმავლობაში მეტად მრავალ ფეროვანი იყო და როგორც ზევით ვსთქვით უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობას ემჩნევა თან-დათანობითი წარმატება.

ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ცნობები უფრო ნათლად დაგვანახვებს რა დიდი მუშაობა უწარმოებია ქალაქის აღმასკომს მთელ 1922 წელს.

**პერსპექტივები 1923 წლისათვის.**

1923 წლისთვის აღმასკომს აქვს შემდეგი პროგრამა, რომლის განხორციელება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

**კომუნალური პოლიტიკა.**

კომუნალური პოლიტიკა 23 წ. მჭიდრო დაკავშირებული იქნება 22 წლის კომუნალურ პოლიტიკასთან, ამისათვის აღმასკომის წინაშე სდგას მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობა, რომელთა შორის უმთავრეს ყურადღებას იქცევს სამუშაო ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მოწყობისათვის, რომლის დასრულება შესაძლებლად გახდის ტფილისის ელექტრო-ფიკაციის გატარებას.

ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე საკითხი წყლით მომარაგების შესახებ, ვინაიდან ერთის მხრივ შესაძლებელი იქნება ავჭალის წყალსადენის მუშაობის გაძლიერება, მისი ელექტროფიკაციის გზით, ხოლო მეორე მხრით შესაძლებელი თვით მოწოდებულ წყალსადენის მოწყობა ერთ-ერთ ვარიანტით: ნატახტარის, წილკნის და ბულაჩაურის.

გადაუდებელ საჭიროებათ ითვლება აგრეთვე ქალაქის დაცვა ნიაღვრისაგან რისთვისაც დაწყებულია მუშაობა მთების ტყით გაშენებისა და პარალელურ არხების გაყვანისათვის, აგრეთვე ნიაღვრით ძლიერ ჩარეცხილ ადგილებზე შემმაგრებელ ზღუდეების მოწყობისათვის. მუშაობა სწარმოებს აგრეთვე მამადავითის მთაზე სუნქენის ქუჩაზე და ვლადიმირის პლაცზე. ეს მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა განვითარდეს 23 წელში.

სასაკლაოებზე უნდა გაუმჯობესდეს საქმის მდგომარეობა, ხოლო ქალაქთან ტრამვაის ხაზის შეერთებისას გამოყენებულ უნდა იქნეს საციებელი. ტრამვაის ხაზის გაყვანა უსათუოდ გამოაცოცხლებს როგორც სასაკლაოს ისე მთელ მახლობელ რაიონს, სადგურ ნავთლუღით.

**სანიტარული ღონისძიებანი.**

თითქმის წმინდა კომუნალურს, შემოსავალიან წარმოებას—აბანოებს დიდი კავშირი აქვს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. აბანოების შეკეთების დამთავრებით მცხოვრებთა დიდ ნაწილს საშუალება ეძლევა მათი გამოყენების და ამ რიგად დაიცვან სისუფთავე, რაც უეჭველად წარმოადგენს პროფილაქტიურ ზომას სხვა და სხვა ეპიდემიურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება—დასმულია მთელი რიგი საკითხებისა:

მოწყობა ტალახით სამკურნალობის სადაც შესაძლებელი იქნება ტალახით და გოგირდით ექიმობის შეერთება, საყოველთაო სამრეცხაოს და ბოლოს ავადმყოფთათვის სანატორიუმის მოწყობა. ამის გარდა საჭიროა კანალიზაციის კაპიტალური შეკეთება, რაც არ მომხდარა 15 წლის განმავლობაში.

**სახალხო განათლება.**

შესაძლებელია სკოლების ქსელის გაფართოვება ფასიან სწავლების შემოღების გამო, რასაკვირველია, მშრომელთა კლასობრივ ინტერესების დაცვით. აუცილებელია ყველა შრომის სკოლების ქსელის გაერთიანება სახალხო განათლების განყოფილებაში. სამკითხველოების საქმე უნდა გადავიდეს ქალაქის განკარგულებაში, და მშრომელთა ფართო მასებს უნდა მიეცეს სამკითხველოებით უფასოდ სარგებლობის საშუალება. განზრახულია აგრეთვე ქალაქის მუზეუმის გაფართოვება, რომელიც გადავა წარმოებითი ნიადაგზე.

**მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება.**

მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც არ უნდა დაჯდეს მიღწეული უნდა იქნეს 23 წელში. პირველ ყოვლისა სამუშაო ხელფასი უნდა იქნეს მიყვანილი ომამდე არსებულ განაკვეთებამდე, კოლექტიურ ხელშეკრულებათა ცხოვრებაში გატარების გზით.

მუშების ბინების გაუმჯობესების საკითხი მჭიდროთ დაკავშირებული ერთის მხრით მუშათა სახლების კაპიტალურ და აგრეთვე ნაწილობრივი შეკეთების დამთავრებასთან, ხოლო მეორე მხრით მუშათა მოსახლეობის გაშენების განვითარებასთან. ამას გარდა საბინაო საკით-

დარამშტატიდან, რომლებთანაც ერთად და სიმენსის ქარხნის წარმომადგენლის დასწრებით პროექტი განხილულ იქნა. ამ სპეციალისტებმა გადასწყვიტეს, რომ მტკვრის არხი 12,000 ცხ. ძალისა შეიძლება აყვანილ იქნეს 40,000 ცხ. ძალამდი, რისთვისაც საჭირო იქნება რამოდენიმე მუშაობის გაწევა.

ამის შემდეგ კიდევ იქნა გაგზავნილი შეკითხვები ფირმებისადმი და მათგან პასუხის მიღების შემდეგ მომხსენებელი და ინჟ. დომანტოვიჩი ტფილისისაკენ გამოემგზავრენ. მათ მიერ მიღებული იყო ჩეხო-სლოვაკიის ფირმებისაგან მოწვევა მათი ქარხნების დასათვალიერებლად, მაგრამ ამისათვის დრო აღარ იყო.

გერმანიის მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობის შესახებ, ამხ. ნიკო კიკნაძე ამბობს, რომ ამ კლასის განთავისუფლება ანტანტის იმპერიალიზმისაგან ძალზე ძნელია, რადგან ყველა ქარხნებში სხედან ინგლისის და საფრანგეთის კონტროლიორები და ერთი თოფის დამზადებაც კი არ შეუძლიათ; კონტრიბუციის გადახდისათვის კი საჭირო ხდება ნაწარმოებთა მაქსიმალური რაოდენობის დამზადება და მათი ბაზარზე გამოტანა სხვა ქვეყნებზე იაფად.

სხვა და სხვა ჯგუფების დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა მთავრობისადმი ამხ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ გერმანიაში გამოდის მთელი რიგი შავრაზმული გაზეთებისა, რომლებიც ავრცელებენ საბჭოთა ძალა-უფლების შესახებ პროვოკაციულ ჭორებს.

ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ ქალაქის აღმასკომმა დანიშნა კომისია 12 სპეციალისტისაგან, სადგურის პროექტების განსახილველად და ნაწილი, რომელიც შენაკვეთების შესრულებას ეხება უკვე განხილულია და მალე გაიცემა შენაკვეთი, რომელიც გამოანგარიშებულია 70.000 გირ. სტერლ. ე. ი. 70 მილიარდ მან., 10 მ. ოქროს 1 მილიონის ანგარიშით. საამშენებლო მუშაობისთვის საჭიროა დაახლოებით 1.500.000 მან. ოქროთი.

სადგურის ასაშენებელი საშუალებანი შესდგება მთავრობის მიერ „ჩემოს“ შემოსავლიდან გადარიცხულ 30 პროცენტისაგან 2 წლის განმავლობაში, რაც მოგვცემს 50,000 გირ. სტერლ. და მოსკოვი იძლევა 750,000 მ. ოქროთი, მაგრამ ეს ფარავს მხოლოდ ხარჯების ნაწილს. ჰიდრო-ელექტრონული სადგური მზად იქნება ორი წლის შემდეგ.

მოხსენების დასასრულს ამხ. დუმბაძე მოუწოდებს დაწყებული საქმის მხარის დასაჭერად და განსახორციელებლად.

მიცემულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, სხდომა იხურება.

# პატარა ფელეტონი

## ალილო

(მეხტვირული)

საახალწლო მილოცვებით,
წმიდა ბასილის ლოცვებით
მოვდივარ მომიხარია,
მომყავს უღელი ხარია
და უშეშობით გაყინულს
ვერ მაკრთობს ჩრდილო ქარია.
გილოცავთ ახალ წელიწადს,
თქვენთვის კეთილი მუდამ მწადს
და ღვეძლისა მაგივრათ
გთავაზობთ ისპანახს და მჭადს.
ქართველ მუშებსა მე ურჩევ
ჩემს სტვირსა დაუგდოს ყური,
რომ აგაშოროთ შემდეგში
მინისტრის ერაძის პური
და ჩხიკვიშვილის მაგივრათ
თქვენ სვათ სამოვრით კახური,
ჩვენივ შრომით და ამაგით
ავავსოთ ქვევრი და ჭური.
სამშობლოს და სოციალიზმს
უმღეროთ ჩვენ კლიმანჭური.
კუდრაჭა კუდა მელებსა
მიუზღოთ მტრობა და შური;
კომ-ტრაბახ-კომ-ტყუილასაც
შევკადროთ „ჩისტკის“ პანღური.
საბჭოთა მშენებლობისთვის
მიიტათ თითო აგური.
ალილო, ჰაი ალილო,
ქართველო მუშავ, დაღლილო,
მრავალ შობასა მოესწარ,
თუ გინდ არც გქონდეს სტაფილო.

კაპიტონი.

# შალვა დადიანის იუბილე

თებერვლის 3-ს რუსთაველის თეატრში დანიშნულია შალვა დადიანის იუბილე. მართალია ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა იუბილეების მოწყობა, მაგრამ შალვა დადიანის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე ისეთი დიადია და მაღალი, რომ დანაშაულობა იქნებოდა ქართული საზოგადოების მხრივ არ ყოფილიყო აღნიშნული იგი ღრმა პატივისცემით.

შალვა დადიანი ცნობილია ჩვენში როგორც მრავალ მხრივი მოღვაწე. მას იცნობენ როგორც რეჟისორს, როგორც არტისტს, როგორც მწერალს, როგორც საზოგადო მოღვაწეს.

ეს არის მისი სიმაგრე და სისუსტე ამასთანავე სიმაგრე იმ მხრივ, რომ მოახდინა თავის თავში კონცენტრაცია სხვა და სხვა სახის შემოქმედებითი ძალების სისუსტე: რომ მოახდინა დანაწილება დიდი ენერგიის.

ეს არის ნაყოფი ჩვენი ქართული საზოგადოებრივ ცხოვრებისა, სადაც საოცარი სიმცირე ინტელექტუალურ ძალების ხშირად ქმნის გაუვალ კრიზისებს.

და საჭირო, აუცილებელი ხდება ერთი მძლავრი ინტელექტის დანაწილება რომ გახდეს იგი დირიჟორი აჭრელებულ ორკესტრის.

შალვა დადიანი ამ მხრივ საგრძნობი ფიგურაა ჩვენი ერის ცხოვრებაში.

მის კალამს ეკუთვნის მრავალი დრამა. ბევრი მათგანი შესულია ქართული თეატრის რეპერტუარში. და დიდხანს არ ჩამოვლენ მის მიერ განპიროვნებული ისტორიული, თუ დღევანდელ ცხოვრებიდან ამოღებული ტიპები ქართული სცენიდან.

მის დრამებს ახასიათებს უმთავრესად სიცოცხლე, გაშლილი ჰორიზონტი, სინათლე და ნორმალური დენა განვითარების.

აღსანიშნავია განსაკუთრებით უკანასკნელი ისტორიული დრამა „ვარამი“, რომლის სეუჟეტი აღებულია თამარის დროიდან ამ დრამაშია გაცოცხლებულია თამარის ბრწყინვალე კარი, თვალმომჭრელი გრანდიოზობა მისი და ტემპი მაშინდელ ცხოვრების.

აღსანიშნავია ერთი ხაზი მისი დრამების: დრამატურგს ყოველთვის უფრორე აინტერესებს და იზიდავს სოციალური—მოტივები. თითქმის ყველა დრამებში ეს უკანასკნელი სუნთქვა გარდასულ ფეოდალიზმის გამოდის როგორც მოსარჩლე ხალხის და მისი ინტერესების. იგი განგებ ეძებს ისტორიაში ისეთ მომენტებს, რომლებსაც ახასიათებს ხალხის ინიციატივა და თვითმოქმედება და გამოყავს ასეთი მომენტები სინათლეზე. ასეთია მისი დრამა „გეგეჭკორი“ და სხვები.

ერთი დრამას „როს ნადიმობდენ“, რომელიც დაიწერა 1905 წელში მთავრობამ კონფისკაციაც უყო—ისეთი სიმძლავრით და აშკარათ იყო იქ ასახული ბრძოლა კაპიტალსა და შრომას შორის და გამარჯვება უკანასკნელის.

შალვა დადიანი ცნობილია აგრეთვე როგორც ბელეტრისტი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მინიატურა და დიდ ტანიანი ნაწარმოები.

ყოველ მინიატურაში მოსჩანს სიტყვის ნამდვილი ვირტუოზი. აქ არის ის სინაზე და ლაპიდარობა ფრაზის, რომელიც გახდა უკანასკნელი პროზის განუყრელი თვისება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ დაწყებული რომანი „უბედური რუსი“, რომელიც ჩემი ფიქრით დარჩება, როგორც საუკეთესო ნიმუში ქართული წელმაგარი პროზის.

(შემდეგი იქნება)

ხის გაუმჯობესებაზე გავლენას იქონიებს აგრეთვე სახლების აღმშენლებლობა, რაც უკვე ვითარდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა რაიონებს, განათების, ქუჩების მოკირწყვლის, წყალის მიწოდების გაუმჯობესების და აგრეთვე შეძლების და გვარად კანალიზაციის მოწყობის სახით.

მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ერთ-ერთ ზომათ უნდა ჩაითვალოს ქალაქის აღმასკომის მონაწილეობა ამხანაგობა—„ხორც-პროდუქტ“-ში რომელიც მიზნად ისახავს მიაწოდოს მცხოვრებლებს კარგი ხარისხის ხორცი იაფ-ფასებში და გავლენას ახდენს ბაზარზე, ხორცის პროდუქტებზე ფასების მოწესრიგების გზით. რამდენიმე თვეების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ამხ. „ხორც-პროდუქტი“ თავის ამოცანას უმკლავდება, ამიტომ 23 წ. გაფართოვებულ უნდა იქნას მისი მოღვაწეობა.

**სასოფლო მეურნეობა.**

სანიმუშო ფერმა უკვე დაარსებულია, მაგრამ საჭიროა მისი მოქმედების განვითარება, ფერმა მიაწოდებს მსურველებს, უმთავრესად მუშათა კლასიდან კარგი ჯიშის ქათმებს, ბაჭიებს და სხვა. საჭირო აგრეთვე რძის ფერმის განვითარება.

განზრახულია საბურთალოს მორწყვა და გზების გაუმჯობესება, საბურთალოში აუცილებელი საჭიროა ტრამვაის ლიანდაგის გაყვანა.

23 წლისათვის საჭიროა მუშაობის გაფართოება სამგორის დაბლობის მორწყვისათვის, მდინარე იორიდან და დაბლობში მდებარე 3 ტბისაგან არხის გაყვანის გზით. წყლის გაყვანით შესაძლებელი იქნება ვეებერთალა ადგილების მორწყვა. ტბების შეერთების შემდეგ მივიღებთ ერთ ტბას ათი ვერსის მოედანით. ამ რაიონში შესაძლებელი იქმნება მუშათა მოსახლეობის და ბაღების გაშენება.

**კოჯორი**—ცაკის დადგენილების თანახმად წარმოადგენს „საბავშვო ქალაქ“-ს და იმყოფება ტფილისის ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში. აქ განზრახულია მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება, რათა მოეწყოს როგორც—საზაფხულო, ისე საზამთრო საბავშვო სახლები და თავშესაფარი სასოფლო-სამეურნეო ფუნქციებით, აუცილებელია კოჯორის გამოყენება უფრო ფართოდ, როგორც ქალაქის ბავშვების დასასვენებელი ადგილის.

**სახალხო სასამართლო.**

საჭიროა ისეთი სახალხო სასამართლოსი შექმნა, რომელიც დაახლოვებული იქმნება მშრომელ მცხოვრებთან და დაიცავს მის ინტერესებს.

**მ ი ლ ი ც ი ა.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მილიციის გაჯანსაღებას, განსაკუთრებით სისხლის სამართლის მილიციის, რათა ის იქნეს რევოლიუციონური წესრიგის ნამდვილი დამცველი და დაუნდობელათ აღმოფხვრას ბნელი ელემენტების ყოველგვარი ცდა.

**სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.**

საჭიროა სრული და ფართე დაკმაყოფილება ცოდნის და სულიერ მოთხოვნილებათა, რომელითაც ამ ჟამად გამსჭვალულია ტფილისის მშრომელთა ფართო მასსები.

**საადგილ-მამულო რეფორმა.**

ტფილისის და სამაზრო საბჭოს გაერთიანების გამო საბჭოს ახალი შემადგენლობის წინაშე სდგება საკითხი მიწის რეფორმის საჩქაროთ გატარებისა და გადაწყვეტის შესახებ გლეხობის მეურნეობის და მიწად მოწყობის რადიკალურად გაუმჯობესების გზით გლეხობის ულარიბესი ნაწილის ინტერესებისათვის. მოკლე დროში უნდა მოისპოს მემამულეთა ძველ პრივილეგიების ყოველგვარი ნასახი და ძველი ბატონყმური წყობილების ყოველგვარი ნაშთი.

აი მოკლეთ ის პროგრამა, რომლის განხორციელება უკვე დასმულია 1923 წლის მუშაობის დღიურ წესრიგში.

ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე

**ლ. დუმბაძე.**

# წერილი პეტრ გრადიდან

(საკუთარი კორესპოდენტისაგან).

**გაზეთები და მუშათა კლასი რუსეთში.**

„ყოველმა მზარეულმა უნდა შესძლოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაო, რამოდენიმე წლის წინად წარმოსთქვა ვ. ლენინმა და ეს აზრი პროლეტარიატის მეთაურისა შეიქნა საბჭოთა სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების მთავარ საფუძვლათ ხალხის განვითარების და გათვითცნობიერების საქმეში.„ თუ ერთის მხრივ პირველ და მეორე საფეხურების სკოლების მოფენით მთელს რუსეთში, წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის წარმოებით ჯარში და კავშირებში, უმაღლეს სკოლის კარების ფართოდ გაღებით მუშათა კლასისათვის, ხალხის გაუნვითარებლობას ნელ-ნელა ბოლო ელება, მეორეს მხრივ ამ გაუნვითარებლობის ლიკვიდაციას ხელს უწყობს გაზეთების გამრავლება, გაფართოება და გავრცელება ხალხში.

საბჭოთა ხელის-უფლება წარსულში და ნაწილობრივ დღესაც არ ზოგავს თანხებს გაზეთების გასავრცელებლათ მუშათა კავშირებში, კლუბებში, სამკითხველოებში, ქარხნებ-სახელოსნოებში და სოფლებში.

შედარება გაზეთების რაოდენობისა ომამდის და რევოლიუციის შემდეგ ნათელ-ყოფს საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობის ამ დარგში:

| | | 1914 წ. | 1921 წ. |
|---|---|---|---|
| გამოდიოდა: | საგუბ. გაზ. | 316 | 313 |
| | სამაზ. გაზ. | 151 | 490 |
| სულ.. | | 467 | 803 |

**(ცნობა ინგულოვისა).**

ამნაირად რაოდენობა გაზეთებისა რევოლიუციის შემდეგ საეროოდ გაორდა ამასთანავე როგორც ცხრილიდან ვამჩნევთ საბჭოთა მთავრობას უმთავრესი ყურადღება მიუქცევია მაზრებისათვის სადაც რაოდენობა გაზეთებისა თითქმის გაუსამებია. ამის და მიხედვით რასაკვირველია მკითხველთა რაოდენობაც გაიზრდებოდა და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გაზეთი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „ნეპო“-მდის ერთ პიროვნებას კი აღარ ეკუთვნოდა, როგორც ბურჟუაზიულ მართვა-გამგეობის დროს, არამედ საერთო იყო იმ დაწესებულებების, კლუბების, სამკითხველოების და კოლექტივების წევრებისა, რომლებსაც ეგზავნებოდათ გაზეთი და ამასთანავე თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თითქმის 20 პროც. კედლებზე იკვრებოდა საერთო საკითხავათ და ამავე დროს იმასაც, რომ ნაწილი გაზეთების მკითხველ ინტელიგენციისა გაშორდა რუსეთს და საზღვარგარეთ ამოყო თავი, ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ მკითხველები უმთავრეს ნაწილად მუშები და სოფლის გლეხები იქნებოდა და ამ მკითხველთა რაოდენობა წინანდელთან შედარებით, გაზეთების იმ გადიდებულ რაოდენობაზე, რომელიც იყო 1921 წელს, მრავალჯელ გადიდდებოდა. მართლადაც ინგულოვის გამოანგარიშებით 1921 წელში გაზეთებს ყოლია 63.105.450 მკითხველი. ეს რიცხვი შეიძლება გადიდებული იყოს და სინამდვილეს არ შეეფერებოდეს, მაგრამ ამ რაოდენობის სამი მეოთხედიც რომ ავიღოთ მაინც დიდ მკითხველთა რიცხვს მივიღებთ, რაც სრულიად გასაკვირალი არ არის.

„ნეპოს“ განხორციელების შემდეგ გაზეთის გამოცემის და გავრცელების საქმე შეფერხდა. თუმცა ფასები გაზეთებისა ხელმისაწდომია, მაგრამ მიუხედავათ ამისა ეგრე ფართო ნიადაგზე დაყენება, როგორც იყო დაყენებული 1921 წელში შეუძლებელი შეიქმნა. გაზეთების რაოდენობა შემცირდა და საჭირო შეიქნა ახალი გზების გამონახვა გაზეთების ფართო გავრცელებისათვის.

ნაწილობრივ ეს გზები გამონახეს გაზეთისადმი მუშების დაახლოვებით და გაზეთის პრესტიჟის აწევით.

დღეს გაზეთი გადაქცეულია მთელი მუშათა კლასის ნაშრომად, ნაწარმოებად, გაზეთში მონაწილეობას იღებს არა მარტო ვიწრო წრე თანამშრომლებისა, არამედ ყოველი მუშა და გლეხი, მათ ფართოდ უღებენ რედაქციის კარებს, ეძახიან, იწვევენ, ხელს უწყობენ, ეხმარებიან თანამშრომლობის მიღებაში, ეხმაურებიან მათ საჭირბოროტო საკითხებს და ამნაირად გაზეთის კეთილდღეობის საქმეში უშუალო მონაწილეობას აღებინებენ ფართო მასსას.

მეორე მხრივ გაზეთის პრესტიჟი უაღრესად აწეულია: დღეს გაზეთი იკითხება არა მარტო საინფორმაციოთ, ცნობად მისაღებათ, დროს მოსაკლავად და თვალის გადასავლებლად, არამე უაღრესი ყურადღება ექცევა მას. მუშები გაზეთის საშუალებით, რომელშიაც როგორც აღვნიშნე აქტიურ მონაწილეობას იღებენ, აცნობებენ საზოგადოებას, ასწორებენ იმნაირ დეფექტებს, რომლის გასწორება მათ ვერ შესძლეს პირადი შუამდგომლობით და ბრძოლით. ეს დეფექტების გასწორება ხდება იმიტომ, რომ გაზეთის ხმას ყურს უგდებენ დაწესებულებანი, მთავრობის წევრები, პასუხიმგებელი პირები და სხვანი.

საკმარისია დაიბეჭდოს გაზეთში ესა თუ ის დეფექტი, საკმარისია აღნუსხულ იქნეს ესა თუ ის თუ ის ბოროტმოქმედება წამსვე სათანადო უწყება ეხმაურება განცხადებას და იღებს ამა თუ იმ ნაბიჯებს. პატარა, მოკლე წერილები მუშებისა „Рабочая Газета“ და „Красная Газета“-ში ჩვეულებრივ თავდებიან შემდეგი სიტყვებით: „Рабочая“ ან-და „Красная спаси“. და მართლაც მეორე წერილს რომელიმე შემდეგ ნომერში ნახავთ შემდეგ სიტყვებით: „Красная“ ან „Рабочая спасла“. აი როგორი მოქმედება აქვს გაზეთს დეფექტების აღნუსხვაში. ეგეთი მოპყრობა გაზეთისადმი აძლიერებს მის პრესტიჟს მუშათა შორის, უნერგავს მათ სურვილს თანამშრომლობისას, მონაწილეობის მიღებისას გაზეთის საქმეში და აჩვენებს მას რომ მუშის ხმა არ რჩება „ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა“. არამედ ძლიერი და გავლენიანია.

მოსკოვის „Рабочая Газета“, პეტროგრადის „Красная Газета“ რომლებმაც ფართოდ გაუღეს რედაქციის კარები მუშებს, მიიღეს მუშები თანამშრომელთა წრეში, გამოეხმაურენ მათ განცხადებასაჩივრებს, რომელშიაც საკმარისია მოთავსდეს ამა თუ იმ დაწესებულების, ქარხნის და სხვ. გამგების უწესობის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს ჯადოსნური მოქმედება, დიდ პატივისცემითა და სიყვარულით არის დაჯილდოვებული მუშათა შორის, თუმცა ამავე დროს შემზარავნი და ხიფათიანნი არიან ბოროტმოქმედ და მღვრიე წყალში მოქმედ ვაჟბატონებთათვის.

ამის შემდეგ სრულიად გასაკვირალი არ არის ამ გაზეთების მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი მიიყვანონ ტირაჟი გაზეთისა ერთ მილიონ ცალამდის ყოველდღიურად, რაიც ასრულებული იქნება ამ პატივისცემისა და სიყვარულის მეოხებით. ამნაირად თუ „ნეპო“-მ დროებით შეაჩერა გაზეთების გაფართოება და გავრცელების საქმე, დღეს გაზეთის საქმეში ზემოხსენებულ ცვლილების შეტანით ის ისევ ფართო ნიადაგს პოულობს ხალხში და ამასთანავე აუცილებელ საჭიროებათ ხდება ყველასათვის.

**ტ. ჩუბინიძე.**

8 ქრისტეშობისთვე 1922 წ.
ქ. პეტროგრადი.

# საშობაო ხრიზანტემები

ბევრი ვეძიე სიტყვები, ვეძიე ბევრი
თემები;
ვფიქრობდი: ვილას მიუძღვნა სახსოვრად
ხრიზანტემები,
როგორ დადუმდეს საშობაოდ ჩემი დაფი
და ნაღარა
რომ არ ვადიდო, ვინც ქვეყნად ხალხისთვის ოფლი დაღვარა.

**სუმბათაშვილ - იუჟინს**

თელეთის მიდამოებში იშვა კუკური
ვარდისა,
მოწამე ბავშურ განცდებით ერის სევდის
და დარდისა.
დრომ არ აცალა გაფურჩქვნა სხვა
ბაღში გადააპარა
მამულზე ფიქრი, ოცნება გაუქრო—
გაუზღაპარა.
უცხო ბულბული უსტვენდა მის ლოყებს
ახლად შლილებსა
(ეს ბედი ხშირად სწვევია მრავალსა
ჩვენსა შვილებსა)
დღეს მით ვამაყობთ მხოლოდ, რომ
ჩვენს ბაღში არის შობილი,
ბუნებით გრძნობით ქართველი, ნიჭით
მსოფლიოთ ცნობილი.
ბოლო დროს მაინც იფეთქა მასში
მშობლიურ სიომა
აწ მაინც ყველამ იცოდეს ბუნების ეს
აქსიომა...
ხშირად მობრძანდით ჩვენთანა, ჩვენც
გყავდეთ ამორჩეული
დღეს კი სახსოვრად მიიღე ეს ხრიზანტემა გრძნეული.

**კოტე მარჯანიშვილს**

ჩვენს „სიძეს“ m-m დრამისა, მარჯანიშვილსა კოტესა
უსურვებ გამარჯვებასა; აშორდეს
ბოროტებასა.
თეატრსა ჩვენსა სნეულსა, მსახიობთ
რიცხვით მრავალსა
გზა ია-ვარდით შეუმკე, მუდამ ეკლის
გზით მავალსა.
მაშინ უფრორე მოგიძღვნის შეხ ეორი
ხრიზანტემებსა,
თუ სამშვიდობო ნაპირზე გაიყვან
დრამის გემებსა.
ახლა სახსოვრად მიიღე საშობაო
ხრიზანტემები
შენდამი გრძნობის ვაზისა — საუკეთესო
მტევნები.

**ალ. წუწუნავას**

დადგმით კარგობდი და ველოდით
მუხ უკეთესებს.
ახლა ლორნეტით თეატრებში აწყარებ
წესებს.
ჩვენს ხელოვნებას მეტად ავნებს ეგრე
დეხდობა;
ვერ დაამკვიდრებ ამით ჩვენში თეატრის
ფესვებს.
მხოლოდ ეხლაა დრო სანამდის ხალხი
გენდობა,
თორემ ყვავილის მაგივრად მივიღებთ
ხესვებს
დაგვიანდება ვისმე ვთხოვოთ შემდეგ
შენდობა.

**ალ. ახმეტელს**

ამ სეზონში არ უნახავს თეატრს შენი
ნიჭის სახე
გიქებენ კი ცოდნას, უნარს და ამიტომ
ვერ დაგძრახე.
ავანსად კი მოგიძღვენი ჩემი ნაზი
ხრიზანტემა
ეხ მოგთხოვ ანგარიშსა (ასეთია დღეს
სისტემა).

**აკაკი ფალავას**

რადგან სტუდია შექმენი, ღირსი ხარ
ხრიზანტემისა.
დრო დადგა აღორძინების, ბოლოა
ძილის, თვლემისა.
და გაამართლე ბოლომდის იმედი
ქართულ დრამისა.
დღეს ეს იკმარეთ თუმც მსურდა თქმა
კიდევ ბევრი რამისა.

# ბიბლიოგრაფია

**„ტყის სურათები“. შ. მღვიმელისა,** სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი 1922 წ. შ. მღვიმელი ერთად-ერთი ქართველი მწერალია, რომელიც სწერს მხოლოდ ბავშვებისათვის. ქართველი საზოგადოება და ჩვენი ნორჩი თაობა კარგად იცნობს მას, მაგრამ სამწუხაროდ, ღირსეულად ვერ აფასებს და ხელს ვერ უწყობს მოხუც მგოსანს, რომ თავისი მადლიანი კალამი აამეტყველოს ჩვენი ბავშვების სასიხარულოდ. გასულ წელს სახელმწიფო გამომცემლობას პატარა წიგნად გამოუცია მისი „ტყის სურათი“

ნიჭიერი ავტორი სულ რაღაც 16 გვერდზე აზერხებს და იძლევა ბავშვებისათვის გასაგებ მოკლე და სხარტ დახასიათებას ოცამდე ტყის ნადირის, ფრინველებისა და მწერების. არაფერი არ გამოპარვია მის ბავშვისებურ უძლებ ცნობის მოყვარეობას. დათვი, მელა, მგელი, ირემი ნუკრით, კურდღელი, თაგვი, ვირთაგვა; გუგული, გვრიტი, მტრედი, შაშვი, მიმინო, კოდალა, ჩხიკვი, ჭია-მაია, ჭრიჭინა, ფუტკარი, ჭინჭველა, ობობა. და ყველა ესენი ცხოვრობს, ფუსფუსებს, ერთ ამბავშია, ცოცხალია ტყეც:

„აყრილი რცხილის და მუხის ყლორტი ყლორტს გადახვევია.
ისე ჩაჭკვრიან ერთმანეთს, იტყვი—და ძმასა სწვევია“.

ერთი სიტყვით ეს პატარა წიგნაკი მთელი ექსკურსიაა ტყეში, ხალისიანი და საამო. წიგნს დართული აქვს ო. შმერლინგის მიერ ნახატი სურათები, რაც ავსებს შთაბეჭდილებას და ზრდის წიგნისადმი ინტერესს. ყოველი ნადირი თუ ფრინველი მოცემულია დამახასიათებელ პოზაში და ადვილი საცნობია. მით უფრო გაუგებარია, როგორ მოუვიდა სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციას, რომელსაც ეკუთვნის წიგნის რედაქცია, და ჩხიკვი მტრედისაგან ვერ გაარჩია? მე-10 გვ. დახატულია მასხარა ჩხიკვი თავისებურ პოზაში და და ქვეშ კი კი ასეთი წარწერა აქვს ტექსტიდან ამოღებული: „აგერა ჩვენი ლამაზი, ჩვენ ლულუნა მტრედიცა“. ძალიან გაუკვირდებათ ბავშვებს, რომ სამხატვრო-სალიტერატურო სექციას ოხუნჯი ჯაფარა ლულუნა მტრედათ მიუღია. მეტი დაკვირვება და ყურადღებაა საჭირო, რორემ სარგებლობის მაგიერ ზიანს მოუტანთ ნორჩ თაობის.

ძლიერ საჭიროა ეს წიგნი გამოიცეს მხატვრული ფერადი სურათებით. მაშინ ის დაუფასესებელ სარგებლობას მოუტანს ჩვენ ბავშვებს. ეს კი არც ასე ძნელი საქმეა, თუ სათანადო ორგანო უნარს გამოიჩენს. მით უფრო, რომ როგორც გავიგეთ საჭირო თანხა გადაეცა განათლების კომისარიატს საყმაწვილო ლიტერატურის გამოსაცემად.

**სამი ამბავი**. შ. მღვიმელისა. სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1921 წ. ეს წიგნი პატარა ფორმატისაა და შეიცავს 26 გვ., ფერადი კანით. შიგ მოთავსებულია სამი ამბავი: ოთხი ძმა პეპელა, მერცხალი და თაგვების მეგობრობა. სამივე საინტერესოა ბავშვებისათვის და სიამოვნებითაც წაიკითხავენ. გამოცემა ვერაა დამაკმაყოფილებელი: არ ვარგა ქაღალდი და სურათები. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ აწი მაინც ხსენებული გამომცემლობა უფრო ლამაზ და მხატვრულ გამოცემებს მიაწვდის ნორჩ თაობას.

**დიდ.**

სახელეთ სად და როდის გამოვიდნენ მუშა-ხელოსნები რევოლიუციის წინააღმდეგ, ყოველივე ეს უნდა დაამტკიცოთ, რადგან თქვენ სწერთ. თითქო ჩვენს კავშირში ირიცხებოდნენ წვრილი ვაჭრები და სხვა მეპატრონენი. დაასახელეთ ვინ არის ჩვენთან ვაჭარი. ყველამ იცის, რომ ჩვენს კავშირში ირიცხებიან მხოლოდ მუშა-ხელოსნები და რომ ჩვენი კავშირი მუშური ორგანიზაციაა, და მუშები უდგანან სათავეში „ნარკომტრუდის“ ხელმძღვანელობით. წესდებაც დამტკიცებულია ნარკომტრუდის“ მიერ კავშირის სახელწოდებით და საკვირველია, რომ თქვენ არ იცით ყოველივე ეს. იქვე გეპარებათ ჩვენს გულწრფელობაში? მაშ მობრძანდით, გაეცანით ჩვენს საქმიანობას და კავშირის შემადგენლობას თუ თქვენ ეს გაინტერესებთ. თქვენთვის სასიხარულო უნდა იყოს ისეთი კავშირის დაარსება, რომელზედაც დამშვიდებით შეუძლიან დაეყრდნოს მუშათა მთავრობას და საჭიროების დროს გამოიყენოს ეს ხალხი. ერთხელ მაინც უნდა მოსულიყავით ჩვენს კავშირში და შემდეგ დაგეწერათ რამე ჩვენს შესახებ.

დასასრულ, იმედი არის, რომ ყოველგვარ გაუგებრობას ჩვენსა და თქვენს შორის ბოლო მოეღება და გამონახულ იქნება საერთო ენა რევოლიუციის სასარგებლოდ და კერძოდ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს დამოუკიდებელ მშრომელთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი **ვარლამ ჩლაიძე.**

# აჭარის ცენტრალმასკომის პლენუმის დადგენილებანი

(დეკემბრის 21-ს სხდომა)

(დასასრული *)

7. ქედის ხიდის რემონტის შესახებ, პლენუმმა იქონია მსჯელობა და დაადგინა, წინადადება მიეცეს სახკომსაბჭოს საჩქაროდ გამოარკვიოს, თუ რამდენი თანხა არის საჭირო ყველა ხიდების და წყალდიდობისაგან დაზიანებულ გზების აღდგენისათვის და ეს თანხა მოეთხოვოს ცენტრს.

ქობულეთის. ჭოროხის და ხულოს ხიდების რემონტი გაკეთებულ იქმნას პირველ რიგში.

8. საგანგებო კომისიის შესახებ პლენუმმა დაადგინა: ადგილობრივ საგანგებო კომისიას დაერქვას „აჭარის საგანგებო კომისია“ და დაევალოს თავისი ფუნქციები და მოქმედებანი აწარმოოს აჭარის მთავრობასთან შეთანხმებით.

9. სახალხო და საშარიათო სასამართლოების დაარსების შესახებ, პლენუმმა დაადგინა: იქმნას დაარსებული, როგორც მაზრებში, აგრეთვე ქალაქებშიც სახალხო და საშარიათო სასამართლოები, ხოლო მისი შემადგენლობა შემდგარ იქმნას ხალხის მიერ ამორჩეულ პირებისაგან. წინადიდება მიეცეს სახკომსაბჭოს საჩქაროთ შეიმუშავოს პროექტი ასეთი სასამართლოების მოწყობისა.

მისი კონსტრუქცია და დეტალები წარმოადგინოს დასამტკიცებლად ცენრალმასკომში.

10. სწავლა-განათლების შესახებ, პლენუმმა იქონია მსჯელობა და დაადგინა; აჭარის პირობებთან შეფარდებით შედგენილ იქმნას სწავლა-განათლების გეგმა. წინადადება მიეცეს სახკომსაბჭოს „შეიმუშავოს საჭირო პროექტი და წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

11. გაზეთების გამოცემის შესახებ, პლენუმმა დაადგინა: გამოიცეს ორი გაზეთი: ერთი რუსული და ერთიც ქართულ-თათრული, რომელნიც არსებითად დააკმაყოფილებენ აჭარის მშრომელი მასის სულიერ და კულტურულ მოთხოვნილებებს.

12. ჩაქვის მამულების შესახებ, პლენუმმა დაადგინა: აღძრულ იქმნას შუამდგომლობა ცენტრის წინაშე, რათა ჩაქვის მამულების შემოსავლიდან აჭარის სასარგებლოდ გადადებულ იქმნას რამოდენიმე პროცენტი.

აგრეთვე ცენტრს ეთხოვოს, რათა იმ მდაბიო მიწებით. რომელზედაც ჯერ არ არის დამუშავებულნი კულტურა, შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებულ იქმნას ღარიბი გლეხკაცობა და აგრეთვე ტყითაც.

13. სასურსათო გადასახადის შესახებ პლენუმმა დაადგინა: სასურსათო გადასახადი შეკრეფილ იქმნას 15.000 ფუთი შეიკრიფოს საერთო წესით და დაურიგდეს ადგილობრივ ღარიბ მცხოვრებლებს.

14. ადგილობრივ გადასახადების შესახებ, პლენუმმა იქონია მსჯელობა და დააადგინა: წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატებს, რომელთაც შემოღებული აქვთ რაიმე გადასახადი, წარმოადგინოს ამაზედ დაწვრილებითი ცნობები და საერთოდ ამ საკითხის გამორკვევა მიენდოს პრეზიდიუმს, რომელსაც დაევალოს გადასახადების გადასინჯვა და დამტკიცება.

15. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ს. დიასამიძის განცხადებაზე სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, პლენუმმა იქონია მსჯელობა და დაადგინა: ამხ. ს. დიასამიძე განთავისუფლებულ იქმნას თავის თანამდებობიდან და გამოეცხადოს მადლობა წარსული მუშაობისათვის. („პრ. ბრძოლა“)

*) იხ. „ტრიბუნა“ № 386.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება № 67.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

წარმოებაში მოზარდთა სავალდებულო რიცხვის დაწესების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადგანაც შტატების შემცირების დროს სხვა და სხვა წარმოებაში ხდება მოზარდთა რიცხვის არა პროპორციონალური შემცირება, რაიც საფრთხეს წარმოადგენს კვალიფიკაციური მუშა ძალის სწორი აღდგენისათვის, ამიტომ ქვემოდ ჩამოთვლილ სამრეწველო დარგებისათვის სათანადო წარმოებაში ყველა მომუშავეთა რიცხვთან შეფარდებით დაწესებულ იქნეს სავალდებულო პროცენტი რომელზე ნაკლები არ შეიძლება იყოს ამ წარმოებაში რიცხვი 15—16 17 წლიან მოზარდებისა.

2. მრეწველობის დარგები, რომლისათვისაც წესდება მოზარდთა ეს სავალდებულო და მინიმალური პროცენტი და ამ მინიმუმის რაოდენობა თვითეულ ცალკე დარგში წესდება შემდეგი ცხრილის მიხედვით.

მეტალურგია და მეტალის დამუშავება 8 პროც. ბამბის დამუშავება—6 პრც მატყლის—8 პროც., აბრეშუმის—5 პრც ბოჭვის (ვოლოკნო) შერეულ ნივთიერებათა დამუშავება—5 პროც. პოლიგრაფიული წარმოება—13 პროც. ხე-ტყის სახერხი წარმოება—5 პროც. ფირფიცარის (ფანერნაია) წარმოება—6 პროც. ხის დამუშავების წარმოება—5პროც. შუშის წარმოება—15 პროც. ცემენტის და ცეცხლ-შეუპოვარი აგურის წარმოება—4 პროც. მსხვილი ტყავეულობის ქარხნედი—5 პროც. სახარატო და უნაგირფეხსაცმელების ქარხნები—20 პროც. ბეწვეულის (მეხოვაია) მრეწველობა—5 პროც. საკანდიტრო—10 პროც. წისქვილები—4 პროც. საკონსერვო (თუნუქისა და კონსერვების განყოფილების და დამხმარე სამუშაოების თანდართვით) წარმოება—5 პროც. ზეთის სახდელის (მცენარეულობის) წარმოება—5 პროც. თამბაქოსა და გილზის წარმოება 7 პროც. ძირითადი ქიმიური მრეწველობა—5 პროც. ნახშირის—6 პროც. ტანისამოსისა და ტუალეტის—7 პროც. ჩაის წარმოება—5 პროც.

3. მეორე მუხლში აღნიშნული მოზარდთა რიცხვის განსაზღვრული მინიმალური ნორმა — სავალდებულო როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოებისათვის.

4. 4 ყველა წარმოება. სადაც 15—16 და 17 წლიან მოზარდთა რიცხვი მე-2 მუხლში აღნიშნულ პროცენტზე ნაკლებია, ვალდებულია გაადიდოს მოზარდთა რიცხვი დაწესებულ ნორმამდე არა უგვიანეს 1923 წლ. თებერვლის 1-სა.

5. იმ წარმოებაში, სადაც მოზარდთა რიცხვი მე-2 მუხლში დაწესებულ ნორმას აღემატება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი შემცირება.

**შენიშვნა**: უკეთუ მოზარდთა რიცხვის შემცირება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ასეთი შემცირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შრომის სახალხო კომისარიატის, საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს და საქ. ახალგაზდა კომუნისტთა კავშირის ორგანოების დასტურით.

6. შრომის სახალხო კომისარიატს—საქ. პროფ-კავშირთა საბჭოსა, საქ. ახალგაზდა კომუნისტთა კავშირისა და სათანადო სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით უფლება აქვს: ა) დააწესოს სავალდებულო პროცენტული მინიმუმი მეურნეობის იმ დარგებში, რომელი ამა დადგენილებით გათვალისწინებული არ არის წარუდგინოს ხოლმე სახალხო კომისართა საბჭოს განცხადება დაწესებული ნორმის შეცვლის შესახებ.

7. დაევალოს შრომის ინსპექციას განსაკუთრებული თვალ-ყური ადევნოს ამ დადგენილებეს ასრულებასროგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოებათა მიერ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შრომის სახალხო კომისრის რწმუნებული საქართველოში **ა. იაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე:**

1922 წ. იანვრის 2.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

# ს. პ. პ. ს. სამდივნოს საყურადღებოდ

გაზეთ „მუშის“ მე-28 №-ში ამოვიკითხე განმარტება ს. პ. კ. ს· სამდივნოს მიერ მოთავსებული ჩემი სტატიის შესახებ, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზ. „ტრიბუნა“-ში, 372 №-ში, 17 დეკემბრის თარიღით, საქართველოს დამოუკიდებელ მშრომელთა კავშირის“ შესახებ, სადაც ვსწერდი, რომ ტფილისის მუშა-ხელოსნებისათვის ჯერაც არ დაუბრუნებიათ საკუთარი ოფლით შექმნილი კლუბი მეთქი და რომ მუშა-ხელოსნებს ყურადღებას არ აქცევს არც ქალაქის თვითმართველობა და არც მთავრობა მეთქი და რომ ისინი უკიდურეს გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებიან და საჭირო არის დროზე მათზე ყურადღების მიქცევათქო.

თანაგრძნობის და დახმარების მაგიერ კავშირთა საბჭოს სამდივნო აცხადებს, რომ დამოუკიდებელი ხელოსნები კავშირში არ მიიღებიან, რადგან მათში კულაკები და სპეკულიანტებიაო.

მძიმე ბრალდებაა, მაგრამ დამტკიცება უნდა, თუ არა ყოველივე ამას.

მაშ მობრძანდით და დაამტკიცეთ, რომ მუშა-ხელოსნები, რომელნიც თავიანთი ოფლით სცხოვრობენ და არავის ექსპლოატაციას არ ეწევიან, ე. ი. არა ყავთ დაქირავებული ქარგლები, არ არიან მუშები და რომ მდგომარეობით და ფსიქოლოგიით ეს ხალხი ანტირევოლიუციონური ელემენტია და რომ ასეთ მშრომელ ხალხს ადგილი არ უნდა ქონდეთ იქ, სადაც სოციალიზმი, ე. ი. შრომის სამეფო ეწოდება.

დამიმტკიცეთ, რომ სოციალიზმი ამ საცოდავ ხალხს რამეს წაართმევს, რომელნიც დღეს განუსაზღვრელად შრომობენ, მაგრამ, რადგან მათი შრომა არ ფასდება, იგენი მაინც მშივრები არიან და უმრავლესობა ამ ხელოსნებისა გარეგნული შეხედულებით საფრთხობელას წარმოადგენს თავისი სივამხდრით. დაა-

# ხელოვნება

**სახელმწიფო 2 კონსერვატორია.**

გრჟიმალის სახელობის სიმებიანმა კვარტეტმა გახსნა თავის კონცერტების სერიის საღამოები. უკვე შესდგა 1-ლი საღამო, რომელმაც ჩემში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. შესრულებულ იქნა ორი კვარტეტი 1) გრეჩანინოვის J dur და 2) ბოროდინის D-moll. სჩანს სერიოზული მოპყრობა საქმისადმი. შესრულება დასრულებულია—უკრავენ როგორც ერთი ადამიანი, ნიუანსებით და ფრაზიროვკით. მოქ. ილჩენკომ, რომელიც უძღვება კვარტეტს,—კარგად იცის თავისი საქმე. თუ მომავალშიაც ასე მოეპყრენ საქმეს, 2-ე კონსერვატორიის საღამოებს დიდი გამარჯვება მოელით.

კონცერტში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ოპერის მომღერალი საბინინი, რომელმაც ჩინებულად შეასრულა კონჩაკის არია ოპერა „თავად იგორიდან“ ბოროდინისა.

**პ. ბებუთოვი.**

—

**ალექსანდრე ზეილიგერის კონცერტთა სერია.**

ნიჭიერი პიანისტი განაგრძობს თავის claviera bebd-ს. გუშინ სახელმწიფო 1-ლ კონსერვატორიის დარბაზში შესდგა მისი მესამე კონცერტი. პროგრამა შესდგებოდა რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებიდან: გლაზუნოვი, რახმანინოვი, მუსარსკი, ბალაკირიოვი. როგორც ტეხნიკური ისე მუსიკალობის მხრივ ზეილიგერმა ჩინებულად შეასრულა გლაზუნოვის სონატა მ-moll, გავოტი op. 49, ვალსი op 42; რახმანინოვის ნაწარმოებიდან ყველაზე უკეთ შესრულა პრელიუდია D-moll და Cis-moll და მუსიკალური სურათი Polichinell. სადაც პიანისტი საზღვრავს გარკვევით პირველ თემას (ჯამბაზის პრანჭვას) მეორე თემისაგან, ჯამბაზის ჩაფიქრებისაგან. კონცერტი დასრულდა ბალაკიროვის ძნელ აღმოსავლეთის ფანტაზიით „ისლამი“. ზეილიგერმა სათანადოდ ვერ შეასრულა იგი, რა თქმა უნდა არა იმიტომ, რომ ვერ მოერია. არა, მას იგი არ დაუმუშავებია. შესრულების დროს ზევით ვილაც ხმაურობდა, რაც დაუშვებელია.

**პ. ბებუთოვი.**

—

**— ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება.** ამ დღეებში სახალხო განათლების კომისარიატმა დაამტკიცა ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების წესდება. საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ახალგაზრდა მუსიკოსთა შემჭიდროებას და განვითარებას მუსიკის ყოველ ცალკე სფეროში და აგრეთვე დახმარება აღმოუჩინოს ახალგაზდობის სწავლისა და სპეციალობის მისაღებათ. საზოგადოება თავის უმთავრეს მიზნათ ისახავს აგრეთვე შეისწავლოს ხალხური სიმღერები და მოტივები და გააცნოს ის ხალხს. საზოგადოებას ეყოლება ქალვაჟთა გუნდი და ორკესტრი, რომელთა საშუალებით გამართავს კონცერტებს, საღამოებს, ლექციებს, დასდგამს ოპერებს, მუსიკალურ დრამებს და სხვ. საზოგადოებას განზრახული აქვს კონცერტების და წარმოდგენების გამართვა სკოლებში, ტეხნიკუმებში, ქარხნებში, კავშირებში, ლაზარეთებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში, საზოგადოებას საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში ექნება ფილიალური განყოფილებები. საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება. საზოგადოებას საერთო მეთვალყურეობას უწევს განათლების სახალხო კომისარიატი, რომელსაც საზოგადოება უდგენს წლიურ ანგარიშს. საზოგადოება მოთავსებულია ხელოვანთა სასახლეში, სერგიევის ქუჩა № 13.


განცხადება

**საქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიისა,**

7 იანვარს უქმის გამო სამისამართო მაგიდები დახურული იქმნება გადასახადის შემოტანა განახლდება 8 იანვარს დილის 9 საათიდან.

საქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია.

№ 260 1—1

**დოქტორი გ. მეგრაბიანცი**

**„ყ. ასისენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“**

**შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა. რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.**

**იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.**

**№ 315** ბებუთოვის ქუჩა № 23. **35**

ამიერ-კავკასიის რკინის გზების

ტფილისის ქალაქის

სადგური

იღებს ცოტა და დიდი

ზნით

ტვირთებს და საოჯახო

ნივთებს

შესანახად

საწყობებში სადგურზე და ქალაქში ერევნის მოედანზე ყოფილ თამამშევის ქარვასლაში.

შეღავათიან პირობებში.

5—5


ტირაჟი 1.000

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.